დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

სამაგისტრო სწავლების დებულება

შინაარსი

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

მუხლი 1. სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები

მუხლი 2. სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

მუხლი 3. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის ოფიციალური მედია "ჩემიUG"

მუხლი 4. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი და ჩემი „UG"-ის გამოყენების წესი

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემები

თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

მუხლი 6. პირველკურსელთა რეგისტრაცია

მუხლი 7. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

მუხლი 8. აკადემიური რეგისტრაცია

თავი III. მობილობა

მუხლი 9. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

მუხლი 10. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (გარე მობილობა)

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

თავიV. სასწავლო პროცესი

მუხლი 14. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

მუხლის 14[1]. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

თავიVI.შეფასების ფორმების ადმინისტრირება

მუხლი 15. კვლევითი ხასიათის ნაშრომებში Tunritin-ის გამოყენების ვალდებულება

მუხლი 16. შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის ადმინისტრირება

მუხლი 17. გამოცდაზე დაშვების პირობები

მუხლი 17[1]. გამოცდაზე ქცევისწესები

მუხლი 18. შუალედური შეფასების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები

მუხლი 18[1]. შუალედური შეფასების აღდგენა

მუხლი 18[2]. დამატებით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

მუხლი 19. ამოღებულია

მუხლი 20. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

მუხლი 21. გამოცდის შედეგების ასახვა

მუხლი 22. შეფასების გასაჩივრება

მუხლი 23. საუნივერსიტეტო შეფასება

მუხლი 24. შედეგების საშუალო

მუხლი 25. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) (წლიური, სემესტრული)
მუხლი 26. შეფასების თავსებადობა
თავიVII.სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება
მუხლი 27. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი
მუხლი 28. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ეტაპები
მუხლი 29. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე რეგისტრაცია
მუხლი 30. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობა
მუხლი 31. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საქმიანობა
მუხლი 32. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი
მუხლი 33. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია
მუხლი 34. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი
მუხლი 35. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა
მუხლი 36. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება
მუხლი 37. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გასაჩივრება
მუხლი 38. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შენახვა და გამოყენება
მუხლი 39. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტისგაცემა

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

მუხლი 1. სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები

1. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდის შედეგების ან უცხო ქვეყნის მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქისათვის კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის და ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

1[1]. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, შემუშავება და განხორციელება შესაძლებელია ბიზნესისა და ადმინისტრირების ვიწრო სფეროში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისთვის, მათ შორის, აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვისაც.

1[2]. წინამდებარე მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ბაკალავრიატის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა; აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის, დამატებით, სავალდებულოა არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში; უნივერსიტეტისმიერ განსაზღვრული შიდა გამოცდის ჩაბარება.

2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული შიდა გამოცდა მოიცავს: წერით კომპონენტს უცხო ენაში და გასაუბრებას შესაბამისი სკოლის მიერ განსაზღვრული თემატიკის ფარგლებში.

3. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირი ვალდებულია წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები და გააფორმოს უნივერიტეტთან ხელშეკრულება. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასლი (ელექტრონული ვერსია),
- ბაკალავრის დიპლომის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი (ელექტრონული ვერსია),
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასლი ვაჟების შემთხვევაში (ელექტრონული ვერსია),
- ფოტოსურათი (3X4) (ელექტრონული ვერსია),
- შიდა გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი,
- სასწავლო პროცესის ადმინსტრირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებითგათვალისწინებული სხვა დოკუმენტები

4. სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენა.

5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრატობის კანდიდატი (საერთაშორისო სტუდენტი) სტატუსის მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის შესაბამისად და ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

6. სარეგისტრაციო დოკუმენტები ინახება ელექტრონული ასლის სახით სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 2. სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

1. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენისა და შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.
2. პირი ვალდებულია უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს წინამდებარე დებულებით დადგენილი სწავლების საფასური; სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში სტუდენტი იხდის არსებულ სხვაობას. სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული წესი დგინდება რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით. ხელშეკრულება ძალაშია ამ პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადახდის მომენტიდან.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მისი ჩარიცხვა სამაგისტრო პროგრამაზე მიმდინარე სემესტრისათვის არ განხორციელდება.
3. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში სწავლის საფასურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ გარემოებათა არსებითი ცვლილებების დროს, რექტორის საბჭოს გადაწყვეტილების შემთხვევაში. გარემოებათა არსებით ცვლილებას წარმოადგენს:

(ა) ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია (ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის აშშ-ის დოლართან ან ევროსთან არსებული გაცვლის კურსთან შედარებით არანაკლებ 40%-ით გაუფასურება)

(ბ) 30%-იანი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი

(გ) სამეწარმეო ან საგადასახადო კანონმდებლობის ძირეული ცვლილება, რაც უნივერსიტეტის შემოსავლებზე, ხარჯებსა და მოგებაზე მნიშვნელოვნად აისახება(სხვა თანაბარ პირობებში იწვევს დაბეგვრის შემდგომი მოგების 50%-ით შემცირებას) (დ) სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი საშუალო ხელფასის 100%-იანი ზრდა

(ე) სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც გარემოებების არსებით ცვლილებას წარმოადგენს.

(ძალაშია 2021-2022 სასწავლო წლიდან)

4. გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების წინაპირობაა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა წინამდებარე მუხლის მე-6, მე-6[1] პუნქტების შესაბამისად.
5. საერთაშორისო სტუდენტებისათვის პირველი წლის სწავლის საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.
6. სწავლის საფასური სტუდენტს უკან უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სტატუსი შეუწყდება ან/და სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს:

(ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 30 %

(ბ) აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 50 %

(გ) მეორე სემესტრის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არამეტეს წლიური სწავლის საფასურის 75%

6.[1] სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 ან/და 10 წლიანი ვადის გასვლის გამო, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს უბრუნდება მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური. დასაბრუნებელი სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე შეუჩერდა სტუდენტს სტატუსი. თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა ან/და სტუდენტმა სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართა:

(ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 30 %

(ბ) აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 50 %

(გ) მეორე სემესტრის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არამეტეს წლიური სწავლის საფასურის 75%

6.[2] ამ მუხლის 6[1] პუნქტში მითითებული წესი მოქმედებს სტუდენტის მიერ სწავლის შეჩერებამდე სწავლის წლიური საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, სტუდენტისთვის სწავლის საფასურის გადახდის გადავადება/განწილვადების შემთხვევაში, აღნიშნულ სტუდენტს დაუბრუნდება მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს სწავლის წლიური საფასურის 50 პროცენტისა.

6.[3] უნივერსიტეტის ღირსების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.

7. სწავლის საფასურს აკლდება სახელმწიფო სასწავლო გრანტის შესაბამისი ოდენობა, სემესტრული გადახდის შემთხვევაში - შესაბამისი სასწავლო წლის მეორე სემესტრში.

8. სწავლის საფასურის გადახდისგან ნაწილობრივ/მთლიანად გათავისუფლებას ან გადახდის გადავადებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით „ჩემი UG“–ის მეშვეობით რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 3. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის ოფიციალური მედია “ჩემი UG”

1. სტუდენტს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“, რომელიც იძლევა როგორც ადმინისტაციული საკითხების (ცნობის მიღება/გაგზავნა, განცხადების, საჩივრის დაწერა და ა.შ.) მოგვარების, ისე სალექციო-საგამოცდო პროცესის ელექტრონულად, დისტანციურად წარმართვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, და ა.შ.) მიღების, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/წარმართვის (კომპონენტზე აკადემიური რეგისტრაცია, ნაშრომების ატვირთვა, ლექტორისგან სასწავლო მასალების მიღება და ა.შ.) და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის (კონფერენციები, ღონისძიებები, სტუდენტური კლუბები და მათი აქტიობები) მიღების საშუალებას.

2. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად ამოწმოს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UG“-ის საშუალებით მიღებული კორესპონდენცია.

3. სტუდენტის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით, განცხადების წარდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში. სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე.
4. სტუდენტის ყველა განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

მუხლი 4. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი და ჩემი „UG“-ის გამოყენების წესი

1. სტუდენტს უნივერსიტეტის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“) დაშვებისათვის გადაცემა მომხმარებლის კოდი და პაროლი, ამასთანავე, სტუდენტს გადაეცემა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი.
2. დაუშვებელია სხვა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით ან უნიკალურინომრით სარგებლობა.
3. საიდენტიფიკაციო ბარათის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით.საიდენტიფიკაციო ბარათის ღირებულება შედის სწავლის საფასურში.
4. საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია განცხადებით მიმართოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს. საიდენტიფიკაციო ბარათის ხელმეორედ დამზადების ღირებულებას იხდის სტუდენტი, რომლის ოდენობაც დგინდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემები

1. სტუდენტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება

„ჩემი UG“-ის მეშვეობით. სახელის/გვარის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს (შემდგომში -„სპას“).სტუდენტის მიერმონაცემების წარმოუდგენლობის გამო დამდგარ შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

2. სტუდენტის შესახებ პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემა დაიშვება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თავი II. პირველკურსელთა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

მუხლის 6. პირველკურსელთა რეგისტრაცია

1. პირველკურსელთა რეგისტრაცია გულისხმობს სარეგისტრაციო ვადებში წინამდებარე დებულების 1-ლი მუხლის 3 პუნქტში მითითებული დოკუმენტების საქართველოს უნივერსიტეტში წარმოდგენას და სწავლის საფასურის დარეგისტრირებული კრედიტების (მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესის დაცვით), შესაბამისი თანხის ოდენობის გადახდას ან რექტორის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გადახდას (არ ეხება გაცვლით პროგრამაში ჩართულ სტუდენტს).
2. პირველკურსელთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სარეგისტრაციო ვადებში სწავლის საფასურის გადახდას; სემესტრის განმავლობაში მინიმუმ 18 კრედიტის შესაბამისი თანხის ოდენობით (არ ეხება გაცვლით პროგრამაში ჩართულ სტუდენტს).
2. გაცვლით პროგრამაში ჩართული სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია ხდება ავტომატურად, საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ სპას-თვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
3. სტუდენტებისა და მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
4. გაცვლითი სტუდენტის სტატუსი ენიჭება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
5. სტუდენტი შემოდგომის სემესტრისათვის რეგისტრირდება არაუგვიანეს 30 ივნისისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - არაუგვიანეს 1 თებერვლისა. აკადემიურ წელზე/სემესტრზე რეგისტრაციის განსხვავებული ვადები შეიძლება დადგინდეს რექტორის საბჭოს მიერ.
6. ერასმუს მუნდუსის პროგრამაში ჩართული გაცვლითი სტატუსის მქონე სტუდენტი გაცვლითი პროგრამის ხანგრძლივობით საქართველოს უნივერსიტეტში არ იხდის სწავლის საფასურს, ხოლო ინდივიდუალური მემორანდუმის საფუძველზე არსებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იხდის საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესაბამის თანხას თუ მემორანდუმის მიხედვით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
7. თუ აკადემიური წლის დასაწყისისთვის სტუდენტის მიერ სწავლის დასამთავრებლად დარჩენილი კრედიტების საერთო რაოდენობა არ აღემატება 60 კრედიტს, სწავლის საფასური ანგარიშდება კრედიტების მიხედვით, სადაც 1 კრედიტის საფასური იანგარიშება წლიური სწავლის საფასურის 60-ზე გაყოფით.

მუხლი 8. აკადემიური რეგისტრაცია

1. სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს მომდევნო სემესტრისთვის სასწავლო კომპონენტების არჩევას და სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ფორმირებას.
2. სამაგისტრო სწავლების პროგრამებზე სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას ახდენს „ჩემი UG“-ის მეშვეობით სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით განსაზღვრულ ვადებში.
3. აკადემიური რეგისტრაცია მიმდინარეობს ორ ეტაპად (თითოეული ეტაპის ვადები განისაზღვრება სასწავლო პროცესის ადმინსტრირების და ინფორმაციულიტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით). აკადემიური რეგისტრაციის ეტაპებია:

- პირველ ეტაპად რეგისტრაცია
- მეორე ეტაპად რეგისტრაცია

4. პირველ ეტაპად რეგისტრაცია გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის და თავისუფალი

კრედიტების (თუ განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით) იმ სასურველი კომპონენტების არჩევას, რომლებიც მოცემული სემესტრისთვის განისაზღვრა შესაბამისი სკოლის მიერ, არანაკლებ 18 კრედიტის მოცულობით, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრირებული კრედიტები ანულირდება; გამონაკლისი დაიშვება დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისათვის ან/და იმ შემთხვევაში, როდესაც წინაპირობები არ იძლევა მეტ კრედიტზე დარეგისტრირების საშუალებას (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის მოცულობით).

5. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

6. მეორე ეტაპად რეგისტრაცია გულისხმობს:

ა) შესაბამისი სემეტრის დაწყებამდე პირველ ეტაპად რეგისტრაციის დროს არჩეული კომპონენტებისათვის დღისა და საათის დაზუსტებას უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ცხრილის შესაბამისად.

ბ) პირველ ეტაპად რეგისტრაციის დროს არჩეული კომპონენტების კორექტირებას წინამდებარე მუხლის 2.6. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისშესაბამისად.

7. პირველ ეტაპად რეგისტრაციის კორექტირება დასაშვებია მეორე ეტაპად რეგისტრაციითმხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპონენტზე რეგისტრაციის გაგრძელება შეუძლებელია. მიზეზი შეიძლება იყოს:

- წინაპირობების დაუკმაყოფილებლობა
- ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტის მიერ არჩეული კომპონენტის გაუქმება (მოცემულ კომპონენტზე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის რეგისტრაციის გამო, მოცემული სემესტრში ლექტორის ხელმიუწვდომლობის გამო და ა.შ.).
- არჩეული კომპონენტების დამთხვევა დროში, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო ცხრილის ფორმირებას და სტუდენტი იძულებულია უარი თქვასრომელიმე კომპონენტზე.

8. სტუდენტს უფლება აქვს შეცვალოს არჩევანი, მხოლოდ აკადემიური რეგისტრაციის პირველი და მეორე ეტაპების დროს, დამატებით აირჩიოს ან გააუქმოს სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები მხოლოდ აკადემიური რეგისტრაციის პირველი და მეორე ეტაპების დროს. დამატებით სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციისწინაპირობაა შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდა.

9. სტუდენტი უფლებამოსილია რეგისტრაციისას აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კომპონენტები, ძირითადი და დამატებითი სპეციალობები.

10. განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეცვალოს სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კომპონენტის დღე, დრო ან ლექტორი.

11. თუ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი და ამ დროის განმავლობაში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტზე შესაძლოა გავრცელდეს პროგრამის მოდიფიცირებული მოთხოვნები პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე,

სკოლის საბჭოს (დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „დსპ“) შემთხვევაში პროგრამის განვითარების საბჭოს (შემდგომში - „პგს“)) გადაწყვეტილებით.

თავი III. მობილობა

მუხლი 9. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

1. შიდა მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. დამატებითი პირობები დგინდება რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროგრამაზე მიმდინარე გადასახადით. ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული პირობა შესაძლოა დადგინდეს რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით.
3. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდებზე ჩაბარებული სასწავლო კომპონენტების თავსებადობას მობილობით გადასულ პროგრამაზე. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების თავსებადობის დადგენამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე.

მუხლი 10. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (გარე მობილობა)

1. მობილობით ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს:

- ბაკალავრის დიპლომის ასლი და ელექტრონული ვერსია. (ან ნოტარიულად დამოწმებული). (JPG ფორმატით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული; (JPG ფორმატით);
- 1 ნაბეჭდი ფოტოსურათი (3X4) და ელექტრონული ვერსია; (JPG ფორმატით);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, იმ გვერდების ასლი და ელექტრონული ვერსია, სადაც მფლობელის შესახებ ინფორმაცია არის მოცემული (ვაჟების შემთხვევაში); (JPG ფორმატით);
- ამონაწერი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებიდან;(ელ. ვერსიაც). (JPG ფორმატით);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების / შეწყვეტის ბრძანებიდან;(ელ. ვერსიაც). (JPG ფორმატით);
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი)ფურცელი), როგორც ასლი, ასევე ელექტრონული ვერსიაც (JPG ფორმატით);
- გავლილი საგნების სილაბუსების ან თითოეული საგნის მოკლე აღწერის (ანოტაცია) ელექტორნული ვერსია (PDF ან JPGფორმატით);
- იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სწავლობდა ერთზე მეტ უნივერსიტეტში საჭიროა ძველი უნივერსიტეტიდან წარმოადგინოს ჩარიცხვის ბრძანება, ამორიცხვის ბრძანება, ნიშნების ფურცელი და სილაბუსები , როგორც მატერიალური სახით, ასევე ელ. ვერსიებიც. (JPG ფორმატით)
- დამატებითი საბუთები, რაც შესაძლოა დადგინდეს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით.

2. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ჩაბარებული სასწავლო კომპონენტების აღწერის, სილაბუსების ან ნებისმიერი იმ დოკუმენტის წარმოდგენა რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კომპეტენციის დადგენა ან/და გამოცდის ჩაბარება.

3. გამოცდის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი) და ის აკეთებს ასევე მის მენეჯმენტს.
4. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების აღიარებამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე.

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   (ა) პირადი განცხადება
   (ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა
   (გ) აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა
   (დ) დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება
   (ე) დებულებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან/და პირადი საქმიდან დოკუმენტის გამოთხოვის შემთხვევაში, მისი დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა
   (ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების მიუღებლობა .
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას, სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური ენახება შემდეგი პრინციპით, შემდეგ შემთხვევებში:
   (ა) სრულად, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში
   (ბ) წლიური სწავლის საფასურის ნახევარი, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ
3. შენახული სწავლის საფასურის გამოყენება სტუდენტს შეუძლია საქართველოს უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.
4. შენახული სწავლის საფასური სტუდენტს უკან უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტს მიმართავს განცხადებით. დასაბრუნებელი სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე შეუჩერდა სტუდენტს სტატუსი. თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა ან/და სტუდენტმა სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართა:
   (ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 30 %
   (ბ) აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის

საფასურის 50 %

(გ) მეორე სემესტრის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არამეტეს წლიური სწავლის საფასურის 75%

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული წესი არ მოქმედებს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის არსებობისას. ამ საფუძვლით სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, დასაბრუნებული სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე შეუწყდა სტუდენტს სტატუსი, წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის წესების შესაბამისად.
6. მობილობის წესით ჩარიცხულ ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებზე ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის ათვლა იწყება სწავლის დაწყების თარიღიდან.
7. სემესტრის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები. იმავე სემესტრში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს აღუდგება შუალედური შეფასებებიც.
8. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება- მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა სტატუსის შეჩერებამდე წარმოქმნილი უფლებებისა და მოვალეობებისა.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის განცხადება მიიღება:

(ა) შემოდგომის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 20 მაისიდან 30 ივნისამდე

(ბ) გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 30 სექტემბრიდან 24 დეკემბრამდე

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე სტუდენტებისთვის სტატუსის აღდგენისთვის განცხადების მიღების წესი და ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
3. სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის ვადის გადაცილებისას, სტატუსის აღდგენის საკითხს განიხილავს რექტორის საბჭო. სტატუსის აღდგენის მოთხოვნისდაკმაყოფილებისას რექტორის საბჭო განსაზღვრავს სტატუსის აღდგენის პირობებს.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

(ა) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო

(ბ) სტატუსის შეჩერების სხვა მიზეზის აღმოფხვრა

5. სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს რექტორის საბჭო.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

(ა) სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება

(ბ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

(გ)პირადი განცხადება
(დ)დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება
(ე) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა

თავი V. სასწავლო პროცესი

მუხლი 14. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად (სემესტრების დაწყების და დამთავრების თარიღები განისაზღვრება აკადემიური კალენდრით, რაც მზადდება სპას-ის მიერ და მტკიცდება რექტორის საბჭოზე)
2. რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიური წელი შეიძლება დაიგეგმოს ტრიმესტრული ან კვატრომესტრული პრინციპით
3. სემესტრი იყოფა სასწავლო კვირებად და თითოეული კვირისთვის განსაზღვრულია სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული სტუდენტთან საკონტაქტო საათები
4. სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული საკონტაქტო დრო დაყოფილია აკადემიურ საათებად. 1 აკადემიური საათის ხანგრძლიობაა 60 წუთი. აკადემიურ საათებს შორის განსაზღვრულია 10-წუთიანი შესვენება.
5. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის განხორციელების წინაპირობები და პროცესის მიმდინარეობის დეტალები განსაზღვრულია წინამდებარე დებულების 14[1] მუხლით.
6. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს:(ა) მარიამობას - 28 აგვისტოს
(ბ) გიორგობას - 23 ნოემბერს
(გ) დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს
(დ) ქრისტეშობის და საახალწლო არდადეგებზე - 24 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით
(ე) აღდგომის კვირას - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით
7. სტუდენტთა სტანდარტული რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრება 25 სტუდენტით, გამონაკლისის სახით დასაშვებია რაოდენობის გაზრდაც.
8. ჯგუფში 10-ზე ნაკლები სტუდენტის დარეგისტრირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ გახსნას ჯგუფი (არ ეხება უცხო ენებს, ლაბორატორიულ მეცადინეობებს).
9. უნივერსიტეტი ვალდებულია გახსნას ჯგუფი მასზე ნებისმიერი რაოდენობის სტუდენტის რეგისტრაციის შემთხვევაში თუ კომპონენტზე რეგისტრირებული სტუდენტებიდან ერთი მაინც პროგრამაზე ჩარიცხვიდან და სწავლის დაწყებიდან მოყოლებული უკანასკნელი სემესტრის ჩათვლით არ ჩაჭრილა არცერთ კომპონენტში.
10. ცალკეულ შემთხვევებში ჯგუფის გახსნის მიზანშეწონილობის განსაზღვრა წარმოადგენს სკოლის დირექტორის / დეპარტამენტის უფროსის / დსპ-ის ადმინისტრაციული დეკანის დისკრეციას.

მუხლი 14[1]. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი გეგმის შექმნას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული სტუდენტისთვის, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით, განსაზღვრავს სტუდენტისთვის პროგრამას, საათობრივ დატვირთვას, მეთოდებს და ა.შ.
2. ინდივიდუალური გეგმის შექმნის მიზანია დააკმაყოფილოს სტუდენტები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და საჭიროებენ აკადემიური მომზადებისათვის სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებს ან/და სპეციალურ პირობებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება, თუ სტუდენტი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ პირობას:
   3.1 აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;
   3.2 საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას სწავლებისას და შეფასებისას;
   3.3 არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული დროით საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
4. დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს რექტორს, სადაც ის ვალდებულია განცხადებაში აღწეროს საფუძველი და მტკიცებულებები, თუ რატომ ითხოვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოთხოვნასთან დაკავშირებით სტუდენტის განცხადებას რექტორი განსახილველად გადასცემს რექტორის საბჭოს, რომელიც იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
   5.1 განიხილავს სტუდენტის განცხადებას და მისი არგუმენტირებული მომართვის საფუძველზე განსაზღვრავს, საჭიროებს თუ არა იგი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
   5.2 იღებს გადაწყვეტილებას დროებითი კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს ის აუცილებელი მიდგომები და საჭიროებები, რომლებიც შემდგომ უნდა აისახოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში.
   5.3 ადგენს დროებითი კომისიის წევრთა ვინაობას.
6. სავალდებულოა დროებითი კომისიის ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდეს სტუდენტის კონკრეტული საჭიროებების მცოდნე შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
7. სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების სრულყოფილად შესწავლის შემდგომ, დროებითი კომისია გონივრულ ვადაში გამოსცემს დასკვნას, რომელშიც მიეთითება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დეტალური აღწერა და სკოლის მხრიდან შესასრულებელი დავალებები, რაც ეგზავნება რექტორის საბჭოს.

8. რექტორის საბჭო ამტკიცებს დროებითი კომისიის მიერ შედგენილ დასკვნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ, რაც ეგზავნება იმ სკოლას, რომლის სტუდენტისთვისაც დადგინდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება. შესაბამისი სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულება.

თავიVI. შეფასების ფორმების ადმინისტრირება

მუხლი 15. კვლევითი ხასიათის ნაშრომებში Tunritin-ის გამოყენების ვალდებულება

1. Turnitin-ის პროგრამის გამოიყენება სავალდებულოა სასწავლო პროცესში შექმნილი კვლევითი ხასიათის ნაშრომების: საკვალიფიკაციო ნაშრომების, სამეცნიერო სტატიების, რეფერატების შესაფასებლად;
2. კურსის დასაწყისში შესაბამისი სასწავლო კურსის/ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია

დარეგისტრირდეს Turnitin-ის პროგრამაში და გააფრთხილოს პროგრამაში დარეგისტრირების ვალდებულების შესახებ შესაბამისი სტუდენტები;

3. სტუდენტები, რომლებიც ასრულებენ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ნაშრომებს ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ Turnitin-ის პროგრამაში და უნივერსიტეტის რეგულაციებით ან/და ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ მითითებული ვადების დაცვით უზრუნველყონ ნაშრომის შესაბამისი ნაწილის ატვირთვა პროგრამაში;

4. Turnitin-ის პროგრამის გამოყენება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გარკვეული ფორმების იდენტიფიცირების ხელშეწყობასთან ერთად, ემსახურება აკადემიური კეთილსინდისიერების ირგვლივ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით, სტუდენტებს Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის საცდელად ატვირთვა და მისი წინასწარ შემოწმება შეუძლიათ უნივერსიტეტის რეგულაციებით ან/და ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ მითითებულ ვადებში ნაშრომის საბოლოოდ ატვირთამდეც.

(ძალაშია 2024 წლის გაზაფხულის სემესტრიდან)

მუხლი 16. შუალედური შეფასების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ადმინისტრირება

1. შუალედური შეფასების ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი სკოლა/დეპარტამენტი/დსპ-ი ადმინისტრაცია/სასწავლოპროცესის ადმინისტრირების სამსახური.
2. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებს სპას; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ცალკეული კომპონენტების ადმინისტრირება შესაძლოა განხორციელდეს შესაბამისი სკოლის/დეპარტამენტის/დსპ-ის ადმინისტრაციის/სპას-ის მიერ.
3. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, სტუდენტს ეცნობება გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია და მისთვის განკუთვნილი ადგილი.
4. ზეპირი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, დასკვნით/დამატებით გამოცდას ატარებს კომისია შესაბამისი საგნის კურატორის ან პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
5. შუალედურ შეფასებას ეთმობა არაუმეტეს ორი ასტრონომიული საათი, ხოლო დასკვნით/დამატებით გამოცდას - 2 ასტრონომიული საათი. დისტანციური გამოცდის შემთხვევაში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული რეგულაციის არსებობა, რომელიც გაწერილიაშესაბამისი პროგრამით (კომპონენტის სილაბუსით).
6. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს სკოლის/დეპარტამენტის/დსპ-ის ადმინისტრაციის/სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს; რექტორის ნებართვით, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირს. გამოცდაზე დამსწრე პირთა ვინაობა, დასწრების დრო თანხმდება სპას-თან გამოცდამდე არანაკლებ 1 დღით ადრე.

მუხლი 17. გამოცდაზე დაშვების პირობები

1. სტუდენტის გამოცდაზე დაშვების პირობაა მითითებულ საგამოცდო დროს უნივერსიტეტში გამოცხადება, საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა და მისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავება. დისტანციური გამოცდის შემთხვევაში მითითებულ დროს ონლაინ ვიდეო ჩართვის განხორციელება და გამომცდელისთვის საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა.

2. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელმაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლოა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა.

მუხლი 17[1]. გამოცდაზე ქცევის წესები

1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას არ არის ნებადართული:

(ა) საგამოცდო ნაშრომში სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად

(ბ) საგამოცდო აუდიტორიაში საუბარი ან სხვა სახის მინიშნება

(დ) ნებისმიერი დამხმარე საშუალების გამოყენება

(ე) საგამოცდო ნაშრომის დასრულებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება

(ვ) ჩართული სმართფონის და სხვა ელექტრონული მოწყობილობის ქონა

(ზ) ზეპირი გამოცდის შემთხვევაში "UG სისტემის" გარდა სხვა პროგრამისან ინტერნეტის გამოყენება (ამ მუხლის 4. და 5. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა)

2. ამ მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და ფორმდება ოქმი. ნაშრომი ფასდება 0 ქულით. სტუდენტი კარგავს შუალედური გამოცდის აღდგენის/დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას.

3. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დადამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.

4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ გამოცდის საჭიროებებიდან გამომდინარე დაშვებული სხვა ნივთებისა თუ სასწავლო მასალისგამოყენება.

5. სტუდენტის მიერ დამხმარე მასალის (სახელმძღვანელო, კოდექსი, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ.) გამოყენების ასევე ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა, წინასწარ ეცნობება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს შესაბამისი კურსის კურატორის მიერ.

6. სტუდენტის მიერ გამოცდაზე დაგვიანება დასაშვებია გამოცდის დაწყებიდან 15 წუთის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტი აღარ დაიშვება საგამოცდო აუდიტორიაში.

მუხლი 18. შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები

1. წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, საპატიო მიზეზად შესაძლოა ჩაითვალოს:

(ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა

(ბ) ახლობლის გარდაცვალება

(გ) სახელმწიფო სამსახურში გამოცხადების აუცილებლობა

(დ) საკუთარი ან ოჯახის წევრის ქორწილი

(ე) შვილის შეძენა

(ვ) ეროვნულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა

(ზ) სამსახურებრივი მივლინება ან/და სამსახურში გამოცხადების აუცილებლობა (უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს სამუშაო ადგილზე სტუდენტის ყოფნის აუცილებლობას)

(თ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

(ი) სხვა ობიექტური გარემოება, რასაც ადმინისტრაცია მიიჩნევს საპატიოდ.

მუხლი 18[1]. შუალედური შეფასების აღდგენა

1. სტუდენტი უფლებამოსილია საპატიო მიზეზით შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში ცალკეულ სასწავლო კომპონენტში მოითხოვოს 1 შუალედურიშეფასების აღდგენა.
2. სტუდენტს უფლება აქვს, „ჩემი UG“-ის მეშვეობით „შუალედური შეფასების აღდგენის“ შესახებ შაბლონზე, განცხადება დაწეროს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სახელზე არაუგვიანეს მე-16 კვირისა. განცხადებაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელი შუალედური შეფასების ფორმის აღდგენას ითხოვს და თან დაურთოს საპატიო მიზეზით გაცდენის დამადასტურებელი ცნობა.
3. შუალედური შეფასების გაცდენისას, შესაბამისი სამსახურის მიერ საპატიო მიზეზის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს შუალედური შეფასების აღდგენა დაენიშნება მე-17 (მოსამზადებელ) კვირაში.
4. მობილობით გადმოსულ და გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებიც დაგვიანებით შეურთდნენ სასწავლო პროცესს აღუდგებათ 3 კვირისშუალედური შეფასება, რომელიც ჩატარდა სტუდენტის სასწავლო პროცესშიჩართვამდე.

მუხლი 18[2]. დამატებით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

1. დამატებით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი თუ ის აკმაყოფილებს შემდეგიპირობებიდან ერთ-ერთს:

ა) დასკვნით გამოცდაზე გამოცხადდა და შუალედურ და დასკვნით კომპონენტში შეფასებათა ერთობლიობით უგროვდება არანაკლებ 41 ქულა.

ბ) საპატიო მიზეზით (მუხლი 18, პუნქტი 1.) გააცდინა დასკვნითი გამოცდა დაწინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადებში წარმოადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) არასაპატიო მიზეზით გააცდინა დასკვნითი გამოცდა და წარმოადგინა დამატებითი გამოცდის საფასურის გადახდის დამდასტურებელი ქვითარი. დამატებითი გამოცდის საფასურის ოდენობა დგინდება საფინანსო-სამეურნეო დარგში პრორექტორის განკარგულებით.

2. „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადების წარდგენის ვადები და ადრესატები მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული საპატიო მიზეზების არსებობისას განისაზღვრება შემდეგი სახით:

(ა), (ბ), (გ), (ე) ქვეპუნქტების შემთხვევაში - დამატებითი გამოცდის დღიდან არაუგვინესმე-2 დღეს სპას-ის სახელზე;

(დ), (ვ), (ზ), (თ), (ი) ქვეპუნქტების შემთხვევაში - დამატებითი გამოცდის დღემდე 2 დღით ადრე სპას-ის სახელზე.

3. დამატებითი გამოცდა ტარდება ერთხელ, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში; გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვასამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

მუხლი 19. ამოღებულია

მუხლი 20. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

1. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიმდინარეობითუკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის ჩატარების დღეს „ჩემი UG"–ის მეშვეობით მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორს.
2. პრორექტორი განიხილავს სტუდენტის საჩივარს. სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდების აღდგენის კვირაში დაინიშნება ხელახალი გამოცდა და წინა გამოცდის შედეგები ანულირდება.

მუხლი 21. გამოცდის შედეგების ასახვა

1. კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.
2. ცოდნის შემოწმების შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება შემდეგ ვადებში:

2.1 შუალედური გამოცდის შეფასებები მონაცემთა ბაზაში აისახება ფინალურ გამოცდამდე 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2 ფინალური/დამატებითი გამოცდის შეფასებები მონაცემთა ბაზაში აისახება აკადემიური რეგისტრაციის მეორე ეტაპის დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა ბაზაში ცოდნის შემოწმების შედეგების დროულად ასახვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შესაბამისი სკოლა, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილ ვადებში შეფასებების მონაცემთა ბაზაში ასახვას. იმ შემთხვევაში, თუკი ცოდნის შემოწმების შედეგები დადგენილ ვადებში არ იქნა მონაცემთა ბაზაში ასახული, ლექტორის მიმართ გამოიყენება შესაბამისი სანქცია. სანქციის დაკისრების წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.ცოდნის შემოწმების შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება 7 კალენდარული დღის ვადაში.
4. შუალედური შეფასების გრაფები ცოდნის შემოწმების შედეგების ასახვის მიზნით მონაცემთა ბაზაში ღიაა სწავლის დაწყებიდან მე-13 კვირის ჩათვლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შუალედური შეფასების გრაფები გაიხსნება მხოლოდ ლექტორის მოთხოვნით.
5. სტუდენტის პრეტენზია შეფასების არარსებობაზე მიიღება შედეგების ასახვის ვადის გასვლიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.
6. სტუდენტი შეფასებისას ინდივიდუალურად იღებს ინფორმაციას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებების და შედეგის გაუმჯობესების გზების შესახებ.

მუხლი 22. შეფასების გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს წერით ნაშრომს და გაასაჩივროს შუალედურ შეფასებაში მიღებული შედეგი, შეფასების „UG სისტემაში" ასახვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში (შედეგის ასახვის დღე ითვლება პირველ დღედ).
2. სტუდენტი „ჩემი UG"–ის მეშვეობით ნაშრომის მიღების მიზნით და გასაჩივრებისას განცხადებით მიმართავს საკუთარი პროგრამის ხელმძღვანელს. შუალედური შეფასების გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, ის უფლებამოსილია ასევე

მოითხოვოს ზეპირი/დისტანციური გამოცდის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი.

3. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა სტუდენტი უფლებამოსილია „ჩემი UG"–ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს საკუთარი პროგრამის ხელმძღვანელს და გაასაჩივროს გამოცდის შედეგი. გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, ის უფლებამოსილია ასევე მოითხოვოს ზეპირი/დისტანციური გამოცდის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი.
4. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილს აპროტესტებს. ზოგადი საჩივარი არ განიხილება.
5. სტუდენტის განაცხადის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი არაუმეტეს 2 კალენდარული დღის განმავლობაში, კომპეტენციის ცენტრისადმი აყენებს მოთხოვნას გასაჩივრების კომისიის შექმნის შესახებ.
6. კომპეტენციის ცენტრი, პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს შესაბამისი გასაჩივრების კომისიის შედგენას, გასაჩივრებული ნაშრომის განხილვას და შედეგების სპას-თვის და პროგრამის ხელმძღვანელისათვის მიწოდებას, მიმართვიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
7. სპას გასაჩივრების კომისიის შედეგებს ასახავს „UG სისტემაში" არაუმეტეს 1 კალენდარული დღის განმავლობაში.
8. გასაჩივრების კომისიის აუცილებელი წევრია: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი,კომპონენტის კურატორი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში იმავე კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პროფესორი). კომისიის სხვა წევრებს წარმოადგენენ ამავე კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პროფესორი, კომპონენტის მიმწოდებელი კომპეტენციის ცენტრის პროფესორი.
9. გასაჩივრების კომისიის სხდომა ოქმდება. სხდომის თავმჯდომარეა იმ პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის სტუდენტის მიერაც მოხდა შეფასების ფორმის გასაჩივრება (კომისიის სხდომაზე დეპარტამენტის უფროსის ან სკოლის დირექტორის დასწრების შემთხვევაში - იერარქიის შესაბამისად). თუ გასაჩივრდა სხვა დეპარტამენტის პროგრამის კომპონენტის შეფასების ფორმა, სხდომას უძღვება კომპეტენციის მიმწოდებელი დეპარტამენტის უფროსი (სკოლის დირექტორის მონაწილეობის შემთხვევაში - სკოლის დირექტორი). სხდომის მდივანია დეპარტამენტის/სკოლის მენეჯერი (დსპ-ის შემთხვევაში - დსპ-ის მენეჯერი).

მუხლი 23. საუნივერსიტეტო შეფასება

1. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა.
2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი დაძლეულია, თუკი სტუდენტს გადალახული აქვს დასკვნით ან/და დამატებით გამოცდაში დაწესებული მინიმალური ზღვარი და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასების გათვალისწინებით შესაძლებელია მინიმუმ 51 ქულის (51%) დაგროვება.
3. დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელია არანაკლებ 21 ქულის მიღება.
4. დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდა ფასდება 0 ქულით.

მუხლი 24. შედეგების საშუალო

1. შედეგების საშუალო ქულა დგინდება შემდეგნაირად:

შესაბამის პერიოდში არჩეულ ყოველ სასწავლო კომპონენტში (საგანი, ლაბორატორია, ნაშრომი,...) მიღებული ქულისა და კრედიტის ნამრავლების ჯამი იყოფა ამავე კომპონენტების კრედიტების ჯამზე. თითოეული კომპონენტი იანგარიშება შესაბამის პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) ერთხელ, მაქსიმალური შეფასებით.

შედეგების საშუალოს გამოსათვლელი ფორმულა:

შედეგების საშუალო = (∑ Kn * Qn) / ∑ Kn

- სადაც Kn არის კომპონენტის კრედიტი, Qn - მიღებული ქულა, n - არჩეული კომპონენტების რაოდენობა
- თითოეული კომპონენტში მიღებული Qn ქულა ფორმულაში მონაწილეობს ერთხელ, შესაბამისპერიოდში (წლიურად, სემესტრულად) მიღებული მაქსიმალური შეფასებით

2. შედეგების საშუალო ქულა გამოითვლება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

3. სწავლის შედეგები მიღწეულია თუ:

(ა) სტუდენტმა დაძლია ყველა კომპონენტი

(ბ) სტუდენტის შედეგების საშუალო არანაკლებ 51-ია

4. შედეგების საშუალო ითვლება გავლილი კომპონენტების შესაბამისად, ხოლო სწავლის შედეგები მიუღწეველია, თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია

მუხლი 25. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) (წლიური, სემესტრული)

1. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი დგინდება შემდეგნაირად:

2. 51-ზე ნაკლები საშუალო ქულის მქონე სტუდენტის (GPA) 0-ის ტოლია. სტუდენტთა მიერ დაგროვებული (51-ზე მეტი) ქულებით დგება რანჟირებული სია (დალაგებული კლებადობით). თითოეული ქულა ხვდება გარკვეულ პროცენტულ შუალედში. რანჟირებული სიის თავში მოქცეული 4 % ცხრილში მოცემული პირველი გრაფის (97-100 (%) რანგის) შესატყვისი იქნება, შემდეგი 3%- 94-96 (%) რანგის, და ა.შ.სტუდენტს ამ განაწილების მიხედვით ენიჭება (წლიური, სემესტრული) შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA).

3. (შენიშვნა: 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უდიდესი ქულის მქონე მოხვდება 97-100 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება A+, ხოლო მისი GPAიქნება 4,00-ის ტოლი

4. 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უმცირესი ქულის მქონე მოხვდება 51-60 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება E,ხოლო მისი GPA იქნება 1,00-ის ტოლი)

პროცენტული რანგი	საუნივერსიტეტო შეფასება	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)
97-100	A+	4,00
94-96	A	3,75
91-93	A-	3,50
87-90	B+	3,25

84-86	B	3,00
81-83	B-	2,75
77-80	C+	2,50
74-76	C	2,25
71-73	C-	2,00
67-70	D+	1,75
64-66	D	1,50
61-63	D-	1,25
51-60	E	1,00

5. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) გამოითვლება ყოველი წლის ბოლოს
6. თუ შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) არანაკლებ 3,75-ია (A და A+) სტუდენტს ეძლევა სტიპენდია. სტიპენდიის მიღების წინაპირობაა წლიური 60 კრედიტის დაგროვება, გარდა ამისა, სტიპენდიის მიღებისთვის აუცილებელია, სტუდენტს ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი საქართველოს უნივერსიტეტში ან იყოს საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული; სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტიპენდია გაიცემა სტატუსის აღდგენის შემდეგ; ხოლო დამამთავრებელი სემესტრის მქონე სტუდენტებს, სტიპენდია ეძლევათ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო სტატუსის შეწყვეტის შემდეგ.
7. სტიპენდიის ოდენობას და გაცემის დამატებით წესებს განსაზღვრავს/ცვლისპრორექტორი საფინანსო-სამეურნეო დარგში.

მუხლი 26. შეფასების თავსებადობა

1. საუნივერსიტეტო შეფასების თავსებადობა შედეგების საშუალოს კოეფიციენტსა დასაქართველოში მოქმედ ზოგად შეფასებასთან გამოისახება შემდეგი სახით:

შედეგების საშუალო	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
ხუთი სახის დადებითი შეფასება				
97-100	4,00	A+	A	ფრიადი
94-96	3,75	A		
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+	B	ძალიან კარგი
84-86	3,00	B		
81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+		
74-76	2,25	C		

71-73	2,00	C-	C	კარგი
67-70	1,75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1,50	D		
61-63	1,25	D-		
51-60	1,00	E	E	საკმარისი
ორი სახის უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	FX	ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
≤40		F	F	ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

თავიVII.სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება

მუხლი 27. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი

1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კვლევით კომპონენტს, რომლის განხორციელებაც დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებით და მისი დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).
2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის მიზანია მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენის უნარი.
3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების მიმართ მოქმედებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესები, თუ ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის/სკოლისთვის განსხვავებული წესი არ არის დადგენილი.
4. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი სრულდება მაგისტრანტის მიერ ინდივიდუალურად ანჯგუფურად, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამისი სკოლის მიერ. ჯგუფურად შესრულების შემთხვევაში, მიმოხილვაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.
5. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს სამაგისტრო პროგრამის სწავლებისენაზე.

მუხლი 28. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ეტაპები

1. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულება და მისი დაცვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1.1. სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე აკადემიური რეგისტრაცია

1.2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა

1.3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის წარდგენა და დაცვა

1.4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა

1.5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა

2. მაგისტრანტი, რომელიც აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში არ დარეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე, კარგავს მოცემულ სემესტრში აღნიშნული კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.
3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მე-1.2-მე-1.5 ქვეპუნქტების შესრულება უნდა განხორციელდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად.
4. მაგისტრანტი, რომელიც არ შეასრულებს ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მე-1.2-მე-1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით, კარგავს მოცემულ სემესტრში კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.

მუხლი 29. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე რეგისტრაცია

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების უფლება აქვს მაგისტრანტს, რომელსაც სამაგისტრო

პროგრამის ფარგლებში დაგროვილი აქვს 78 კრედიტი და აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სხვა წინაპირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. სკოლის საბჭო უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე დაამტკიცოს საკვლევი თემატიკის ჩამონათვალი ან/და დაადგინოს ცალკეული განსხვავებული წესი, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი სკოლის მიერ შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებისა და შეფასების წესის მიხედვით, რაც წარმოადგენს სამაგისტრო დებულების დანართს.

მუხლი 30. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სკოლის საბჭო სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის გათვალისწინებით განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობას, რომელშიც შედიან საბჭოს თავჯდომარე, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი, ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაშრომის/პროექტის თანახელმძღვანელი.
2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავჯდომარე, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში.
3. სკოლის საბჭო უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან/და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს დასაბუთებული წარდგინებით მოიწვიოს თანახელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორანტი ან/და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში.
4. მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის აცილება.
5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს თვითაცილება.
6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საბჭო უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის ცვლილებას.

მუხლი 31. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საქმიანობა

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭო:

1.1. საბჭოს პირველ სხდომაზე ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურს;

1.2. ეცნობა სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციას, საბჭოს მეორე სხდომაზე ესწრება კონცეფციის განხილვას და საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს;

1.3. ეცნობა სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარ განაცხადს, საბჭოს მესამე სხდომაზე ესწრება წინასწარი განაცხადის განხილვას და საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და

შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს;

1.4. ეცნობა სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს, საბჭოს მეოთხე სხდომაზე ესწრება ნაშრომის/პროექტის დაცვას. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად ექსპერტისა და საბჭოს თავჯდომარის მიერ.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება უნდა განხორციელდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად; ვადების დარღვევის შემთხვევაში, მაგისტრანტსგაცდენილი ვადა აუნაზღაურდება.

3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომა ინიშნება საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად და აღნიშნული წინასწარ ეცნობება მაგისტრანტს და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებს.

4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომები იმართება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომის დისტანციურად ჩატარების შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრული პლათფორმის მეშვეობით.

5. მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრები და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ვალდებულნი არიან დაესწრონ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომებს.

6. იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს რომელიმე წევრი ვერ მონაწილეობს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომაში უნივერსიტეტს ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილ იქნება მისი დისტანციური ჩართვა იმპირობით, რომ აღნიშნული ხელს არ შეუშლის სხდომის პროცესში მის სათანადო მონაწილეობას.

7. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის 1.1 – 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სხდომებზე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა, არ წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს იმ პირობით, რომ სხდომას ესწრება საბჭოს წევრების უმრავლესობა. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საბჭოს წევრი ვალდებულია თავისი წერილობითი მოსაზრება სხდომამდე მიაწოდოს საკვალიფიკაციო ნაშრომებისმენეჯერს.

8. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის 1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხდომაზე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული ვადით სხდომის გადადების საფუძველს.

9. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის სხდომაზე დაუსწრებლობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული ვადით სხდომის გადადების საფუძველს.

10. მაგისტრანტის წინამდებარე დებულების მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული საპატიო მიზეზით სხდომაზე დაუსწრებლობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული ვადით სხდომის გადადების საფუძველს.

11. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თითოეული სხდომის ოქმის შედგენას და ათი კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტისა და საბჭოს წევრებისთვის გაცნობას.

მუხლი 32. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი

1. მაგისტრანტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მიიღოს კონსულტაცია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელისგან ან/და თანახელმძღვანელისაგან.
2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია, მაგისტრანტის მოთხოვნის შესაბამისად, გაუწიოს მას კონსულტაცია წინასწარ შეთანხმებული ფორმით.
3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით მიაწოდოს მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის თითოეული ეტაპის შესაბამისი რეკომენდაციები. მაგისტრანტი უფლებამოსილია განსაზღვრულ ვადებში გაითვალისწინოს მიღებული რეკომენდაციები.
4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის დაწყებისთანავე დარეგისტრირდეს Turnitin-ის პროგრამაში, უზრუნველყოს მაგისტრანტის რეგისტაცია და მონიტორინგი ნაშრომის/პროექტის შესრულების პროცესის განმავლობაში.
5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარმოდგენის შემდეგ ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია გასცეს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობის და პლაგიატის შესახებ, რომელიც ეცნობება სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს. აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს მაგისტრის სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე დაშვებისწინაპირობას.

6. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ ამ მუხლის მე-2 - მე-5 პუნქტებით გათვალიწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაგისტრანტმა უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს.

7. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უფლებამოსილია საპატიო მიზეზის არსებობისას დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს მისი ჩანაცვლების მოთხოვნით.
8. ამ მუხლის მე-6 - მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული მიმართვის/შუამდგომლობისდაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საბჭო უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ცვლილებას.

მუხლი 33. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა მოიცავდეს: პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას ან მიზანს, მისი აქტუალობის აღწერას, ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სტრუქტურას, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის სავარაუდო მეთოდებს.
2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა აკმაყოფილებდეს მოცულობის მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც გაწერილია თითოეული პროგრამისთვის/სკოლისთვის.
3. მაგისტრანტი უფლებამოსილია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისიტექნიკური საშუალებების

გამოყენებით.

4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაციისთვის მაგისტრანტს ეძლევა 5-7 წუთი.

მუხლი 34. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი უნდა მოიცავდეს: ნაშრომის/პროექტის სტრუქტურას, პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას, მათი აქტუალობის დასაბუთებასა და მათ ფართო მიმოხილვას არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის ანალიზით, კვლევის მეთოდოლოგიას.
2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს მოცულობის მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც გაწერილია თითოეული პროგრამისთვის/სკოლისთვის.
3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი შესრულებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, თუ სამაგისტრო პროგრამის/სკოლის მიერ განსხვავებული აკადემიური გაფორმების სტილი არ არის დადგენილი.
4. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.
5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის პრეზენტაციისთვის მაგისტრანტს ეძლევა 7-10 წუთი.

მუხლი 35. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა მოიცავდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებს.
2. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს მოცულობის მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც გაწერილია თითოეული პროგრამისთვის/სკოლისთვის.
3. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი შესრულებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, თუ სამაგისტრო პროგრამის/სკოლის მიერ განსხვავებული აკადემიური გაფორმების სტილი არ არის დადგენილი; საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს აკადემიურ სტილთან შესაბამისობის ექსპერტიზას და რეკომენდაციებს აწვდის მაგისტრანტს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით.
4. მაგისტრანტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.
5. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაციისთვის მაგისტრანტს ეძლევა 10-12 წუთი.
6. მაგისტრანტი უფლებამოსილია მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის აუდიო ჩანაწერის წარმოება, რასაც უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი. აღნიშნულის თაობაზე მაგისტრანტი ვალდებულია საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს აცნობოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვამდე მინიმუმ 2 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 36. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხდება წინამდებარე დებულების 26-ე მუხლის 1-ელი

პუნქტით განსაზღვრული სისტემის შესაბამისად.

2. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება საბჭოს თავჯდომარისა და ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს. საბოლოო შეფასება დგინდება წინამდებარე დებულების 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
3. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტისა და საბჭოს თავჯდომარის შეფასება ფიქსირდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებულ ფორმაში და დასტურდება ხელმოწერით.
4. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ეტაპების დაცვით, ხოლო 40 და ნაკლები ქულით შეფასებისშემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

მუხლი 37. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გასაჩივრება

1. მაგისტრანტს უფლება აქვს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გაცნობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში MYUG სისტემის გამოყენებით სკოლის დირექტორის სახელზე წარადგინოს განაცხადი შეფასების გასაჩივრების შესახებ.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალიწინებულ განაცხადში მაგისტრანტმა უნდა გამოკვეთოს და დაასაბუთოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კომპონენტებთან და კრიტერიუმებთან განხორციელებული შეფასების შეუსაბამობა. დაუსაბუთებელი განაცხადი არ მიიღება.
3. სკოლის დირექტორი 5 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს განაცხადს და მისი მიღების შემთხვევაში, ქმნის სააპელაციო კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრი. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ორი პირი. სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავჯდომარეს და სხდომის მდივანს.
4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განცხადების ავტორისგან, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებისგან, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერისგან გამოითხოვოს შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოიწვიოს აღნიშნული პირები ზეპირ სხდომაზე.
5. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი/გამოთხოვილი დოკუმენტაცია საკმარისია დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
6. გადაწყვეტილების ფარგლებში სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გადახედოს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შეფასებას ან უარი უთხრას მაგისტრანტს განცხადების დაკმაყოფილებაზე.
7. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის გზით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

8. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განცხადების ავტორს ეცნობება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 38. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შენახვა და გამოყენება

1. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის დაცვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცეს სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ელექტრონული ფორმით.
2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ატვირთვას უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულისათვის სპეციალურად გამოყოფილ მეხსიერების ბარათზე.
3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განათავსოს სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გამოიყენოს კვლევით საქმიანობაში ავტორთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

მუხლი 39. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობა და კვალიფიკაციისდამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. შესაბამისი სკოლა/დსპ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მომართვისა და ფინანსური სამსახურის თანხმობის საფუძველზე სტუდენტს ანიჭებს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას. სტუდენტს ეძლევა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი; თუ შედეგების საშუალო არანაკლებ 3.5-ია, სტუდენტს გადაეცემა წარჩინების დიპლომი.
2. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი და აქვს შესაბამისი ხარისხი მინიჭებული უნივერსიტეტის სკოლის მიერ.

3. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა იქირავოს ან შეიძინოს მანტია და ქუდი, რომლის ღირებულება განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

განხორციელებული ცვლილებები:

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 10 მარტის N 09/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 3 აპრილის N 11/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N33/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N 32/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის N 3/24 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2025 წლის 7 ივლისის N 13/25 ოქმით